300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

პოემა ეძღვნება 1795 წლის კრწანისის

ბრძოლას.

ხალხური თქმულებების საფუძველზე

მასალა შეაგროვა

ვანო კობაიძემ

1970 წელი

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

***

ატირებულა არაგვი,

როგორც ქალწული ქალია,

მთებს გდაღმიდან ბანს აძლევს

ფშავ-ხევსურეთის წყალია,

თერგის ხეობაც დამწუხრდა,

სამშობლოს ძველი ფარია,

შავმა ძაძებმა დაფარა მთიულეთი

და ქსანია ...

გაწყვიტეს ჩვენი კაცები,

გასწდეს მაგათი გვარია,

ვეღარც გაუჭრა მარჯვენამ,

ვეღარც იფარეს ფარია,

დავმარცხდით ურჯულოებთან,

მარცხი რა დასამალია,

თითქოს გილში მაქვს ჩარჭული

გადატეხილი ხმალია...

ხალხური ამბავი 300 არაგველი

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

ჩღჟე წელი იყო დასაგმობი,

დასაწყევლი,

დაგვიხოცეს ვაჟკაცები,

ჩემ ბედ-იღბალს ამად ვწყევლი,

სული კბილით მიჭერია,

ან სადღა ვარ წასასვლელი,

 მიწამ შემქმნა,

მიწაში ვარ ჩასასვლელი.

გული მერჩის, მკლავი კვნესის,

გზას მიღობავს თეთრი წვერი,

ღმერთო, ღმერთო დიდებულო,

ამოსწვიტე ჩვენი მტერი...

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

300 არაგველი

მთიულეთ-გუდამაყარში
ხალხი იყრება ჯარადა,
საომრად ემზადებიან,
ცა ჩაიქუფრა შავადა,
მზე დაიმალა ღრუბლებში,
ცრემლი დაღვარა არაგვმა,
დეკანოზები გარბიან
ხატებში სალოცავადა.

***

ბარიდან შემოუთვლიათ
შემონათვალი საზარი,
ქართველებს შემოსევია
მუსლიმანების ლაშქარი,
ანგრევენ, სწვავენ, ხოცავენ,
ყოველდღე მიაქვს ნადავლი,
გააპარტახეს ქვეყანა,
გახსნეს მონების ბაზარი.

მოდელაური შეშფოთდა

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

ხადაში, თავენიანი,

თვალებში სისხლი მოაწვა,

დრე ჩამობნელდა მზიანი,

მაცნე აფრინა სოფლებში,

ზაფხულის ცხელი დღე არის,

ცეცხლმა მთებს გადაურბინა,

ეს ომის ნიშანი არის.

სოფლებში ისმის ჩოჩქოლო,

დღე დგება ხიფათიანი,

სუყველა ერთურთს მოუხმობს

სუსტი და მხარბეჭიანი.

შეგროვდა ახალგაზრდობა,

ზოგი ჭაღარა თმიანი,

ცოლი და შვილი დატოვეს

სახლებში თვალცრემლიანი.

ხევუსბერს დღოშა უჭირავს,

ლოცულობს მაღალხმიანი,

ზარებს რეკავენ ღმერთისთვის

დროშებს არხევენ ფრიალით

ცოლებს და ბალღებს ეტყვიან:

თქვენი შინ წასვლის დრო არის.

მოუსმინოდეთ უფროსებს,

თქვენშიც ბევრია ჭკვიანი,

მიხედეთ აქაურობას,

სამშობლო ქარცეცხლში არი,

ფოლადის ხმლები გვაშვენებს,

გულიც ხომ ფოლადი არი,

ხალხს შევკრებთ,

მოვძლიერდებით,

რაღა შინ ყოფნის დღე არის.

***

თვალს მოეფარა სოფლები,

გზები ჩამოვლეს კლდიანი,

გზას უღობავდა ჭალები

ცხენოსნებს მურყანიანი,

მლეთაშიც კაცი აფრინეს -

ოცამდე მლეთელი არის,

ლომისას ეევედრებიან,

 გროვდება ხალხი ფხიანი.

მოლაშქრეთ წინ რომ უძღვება,

ეს სწორედ ხადლები არი.

შეგროვებულან ბიჭები,

შინჩო, ჟიჟონი, ზაქანი,

ლაკათხევის და გვიდაქის,

დიდველის ხალხიც აქ არის.

ქალებსაც გული მიუწევთ,

ბრძოლისთვის ყველა მზად არის.

გრგვინავს დიდი და პატარა,

ყველამ აისხა ფარხმალი.

სალაშქროდ ემზადებიან

ხანდო, მეგუდა, ჭართალი,

ჩადისციხე და წიფორი,

შემზადებულა სუყველა,

არ ეშინიათ სიშორის.

სუყველას როგორ ჩამოვთვლი.

ვისაც თავი აქვს ბრძოლისა,

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

ყველა იარაღს იმარჯვებს,

ჟინი მატულობს ომისა,

იმედად სიტყვა მიჰყვება:

გფარავდეთ დიდი ლომისა!

დაჰკივლებს სოფლის თავკაცი

მოწუწუნეებს ავადა,

ვისაც თავი აქვს არ მოგვყვეს,

დედა შაერთოს ცოლადა,

შიმშილით სული ამოხდეს,

გული გაეპოს ორადა.

წინ მოუძღვება დარძული,

ომში არ მიდის ხამადა,

მიყორას შოლტი ტყლაშუნობს,

დაჰკივის როგორც თამადა,

ნაღვარევს ცეცხლი აანთეს,

ცეცხლი ზეცამდე ავარდა.

პირველად ფიციც აქ დასდეს,

სამშობლოს დასაცავადა...

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

ელიზბარი და თორელი

კობათ რაზმს მოუძღვებიან,

ვინ მეტს გაგზავნის იმ ქვეყნად,

ერთმანეთს ნიძლავდებიან...

გოგნაურლები ჩახლართულ

ბილიკებს ჩამოჰყვებიან,

სალაჯურლებიც ჩოჩქოლობს,

სალაშქროდ ემზადებიან.

არც ხარხეთლებსა სძინიათ,

მტერს რისხვად დაატყდებიან,

ჩადისციხე და ამირი

მებრძოლებს უერთდებიან,

ძველსა და ახალ ამბებსა

რიგრიგობითა ჰყვებიან,

ცხენებს ნალავენ ფოლადით,

დრო და ჟამს ეშურებიან.

ან მტერს გასწყვეტენ, ან თვითონ

ბრძოლის ველს შეაკვდებიან...

ცხვედიეთი და ბაცური

სხვებს როდი ჩამორჩებიან,

მტერს ამოსწყვეტენ და მერე

უკანვე დაბრუნდებიან...

***

აღელდა წიკლაურები,

როგორც თერგი და არაგვი,

ხმლებს ლესენ, ცხენებს ჭედავენ,

გუდებით მოაქვთ მარაგი,

მნათეს ეტყოდის დავითა,

 არ დაგავიწყდეთ არაყი!

დავითა წინამძროლობდის,

მტრებზედ უყორდის ნავარდი...

„ბრუნთს რადა სრუტავ თევდორე,

შენც გამხდომიხარ თავადი“

_იმად ვსრუტავ, რომ გუშინწინ

გადამეკიდა ხამარდი,

მაცრინტა, კიდეც მახველა,

კაცი ლოგინად ჩავვარდი,

ძლივს ვდგევარ ფეხზე, დავითო,

ღმერთი შენც დაგიფარავდის,

 მაინც წამოვედ, არ მიყვარს

გაჭირვების დროს ღალატი.

***

ჩინთიდან დარიალამდე

ციხეებს ცეცხლი ალავდა,

ცეცხლი ხალხს ომში იხმობდა,

ამას აღარვინ მალავდა.

„სამშობლოს გაუჭირდაო“ –

სიტყვა მეხივით გავარდა.

დარდი ჩამოწვა სოფლებში.

ცა ჩაიქუფრა შავადა.

ბორგავს არაგვი მშფოთვარე,

გზას არ მიიკვლევს ხამადა.

ბუვიც გაჰკივის ტყეებში,

როგორც წყვდიადის თამადა.

თითქოს ტყეებიც გაცოცხლდა,

ქარი ფოთლებსა ქარავდა,

ღმუოდა გაშფოთებული,

ხეებს ძალითა სძალავდა.

***

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

არც ვარსკვლავები მოჩანდა,

არც მოშრიალე მდინარე,

არც დღის სინათლის ნათება,

არც მთვარე ბადრი, მცინარე.

ღრუბლები იცრემლებოდა,

მთებსა ლოკავდა მძინარეთ,

ქარს ბანს აძლევდა არაგვი,

კლდეებზე ჩამომდინარე.

არაგვის ხეობის ხალხი აღელდა,

როგორც არაგვი,

საგზალი ყველას თან მოაქვს,

ორ-ორი კვირის მარაგი.

გუდები ამოუვსიათ პურით,

ყველით და არაყით,

ცხენები მაგრად დანალეს,

აქით შორია ქალაქი.

იქ ჩავეშველოთ მოძმეებს,

იქ არის ომის ალაგი.

მერე ვაცადოთ, საცდელი

მომხდურთა თავთა სრევისა.

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

ტვინი უმქრიოთ მიწაზე,

გულები ვგლიჯოთ ხელითა!

სადა აქვთ თავის ქვეყანა,

იქ რად არ დაეტევიან?!

რამდენსაც მეტს წაიღებენ,

იმდენს მეტს დაეჩვევიან!

***

ხონთქარს ჯარი ჰყავს ულევი,

ვერავის დაუძლევია,

ისე ძარცვავენ ქვეყანას,

როგორც საქათმეს მელია.

ჩვენ ჩვენი უნდა ვეცადოთ,

ვმუსროთ მომხდური მტერია.

ღამით დავეცნეთ მძინარეთ,

ვადინოთ სისხლის ცრემლია.

არ შევარჩინოთ მოსულ მტერს,

რაც მათ იქ ჩაუდენიათ!

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

ველტყიანებში გამოჩნდა

 რაზმი სწრაფ ჩამონაქროლი,

ვინ ჩამოგვრჩაო? იკითხეს,

 ერთურთს გადასცეს ნათქომი,

მე ვიცან,ხევსურეთიდან

 ბაკურხევლები არიან,

ორნი ერთ ცხენზე შემჯდარან

 თერთმეთტი ცხენოსანია,

ამბავი ხევსურებისთვის

ციხელას მიუტანია.

ეგენიც ჩვენთან მოდიან

 და ჩვენთან მოუჩქარია.

ფიცხელაურს და გოგოჭურს

 მთაში იცობდა სუყველა,

ერთხელ მაგ ორმა ვაჟკაცმა,

 თურმე გზად შვიდ ლეკს უყელა

შვიდივეს ახსნეს აბჯარი,

 ტყვედ წამოასხეს სუყველა...

აი, მოვიდნენ კიდევაც

 ტკბილი სალმით და სიტყვითა;

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

„ჩვენც ისე დავცხებთ ჩვენ მტრებსა,

ძმებო, როგორც თქვენ იტყვითა“

ციხელამ შაგვატყობინა,

მაცნედ მოსულმა სოფელში,

ცხენი წაექცა, მოუკვდა,

ველარც სხვა ვნახეთ ოხერში,

ესრეთ ვჯდით ორნი ერთს ცხენსა,

გამოხვეულნი ჩოხებში...

„საგზლად სულ დიკის პური გვაქვს,

არაყი ქერსვილისაო,

დედები უნდა ვატიროთ

შამოსეული მტრისაო

სამშობლოს არავის მივცემთ,

არც ჩვენ გვჭირდების სხვისაო

არც არვის მფარველობა გვინდ,

არც სწავლა სხვისა ჭკვისაო,

არც სხვისა თოფებ რაიმ გვინდ,

არც ზათქი უცხო ყმისაო

ჩვენ ჩვენ თავთ თვითონ მოუვლით,

სიყვარული გვაქვს ღვთისაო

ურჯულოთ რჯული მივიღოთ,

ჩვენი როგორღა ვიწამოთ?!

მოვკვდებით სამშობლოსათვის,

არ გვეშინია მტრისაო,

მალამოდ გულზე გვეფინოს

ჩვენი სამშობლოს მიწაო.

***

გროვდება ფასანაურთან

მთიულეთ-გუდამაყარი,

ქუდზე კაცს დაუძახებენ,

წინ მოუძღვება ქავთარი,

მხარს დაუმშვენებს ბურდული,

სწრაფია როგორც აფთარი,

- ნადიბაიძეს ჰკითხავენ:

სად არის შენი ფარ-ხმალი?

- ჩემ ბიჭს მივეცი დილასვე,

თან მომდევს ისიც აქ არი,

მე ნედლი კეტი გამოვჭერ,

სატევარი მაქვს მაგარი.

აი, შიოლაც გამოჩნდა,

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

ფეხზე ვიხილეთ დამდგარი,

ორმოც წელს გადააბიჯა,

მაინც არვინ ჰყავს ბადალი.

-ეს ვინღა მოდის ნეტავი,

მარტო რომ ჰკიდავ ხანჯალი?

-ეგ არის მტრებს რომ მუსრავდის,

აქეთ მოჰქონდის ნადავლი,

ხევშელი გიგოლაია,

მტრის სისხლით გაუმაძღარი.

აი ბოლონაც გამოჩნდა,

ბექაურია გვარადა,

წინ მოუძღვება თავის რაზმს,

არას დაიდებს ვალადა,

არ უღალატებს თავის ხალხს,

განთქმული თვალად ტანადა

თან მოსდევს აფციაური,

მძლეთა-მძლე თავის თავადა.

კარგად სცნობს მუსულმანებსა,

იმათ ადრეცა ხმალავდა,

ცხენ კაცსა ჰკვეთდის შუაზე,

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

ფარი ვერავის ფარავდა,

ცხენს შეირჩევდის მუხლმაგარს,

მძიმე ვარ საზიდავადა.

***

აქაფებულა არაგვი,

ტალღებ კდებს ეხეთქებიან,

ხიფათს გრძნობს მთებში

ღრუბლები,

წინასწარ იცრემლებიან,

სიო ფოთლებთან ნავარდობს,

ერთურთს ვერ მოეშვებიან,

მთები სიმაღლით ამაყობს,

მთებიც ხომ შესაქებია.

მათ არასოდეს არ სძინავთ,

ძილი არ გაჰკარებიათ.

დგანან და წარბს არ იხრიან,

სამშობლოს ეფერებიან.

აი, ამ მთების შვილები

ერთმანეთს შესჯიბრებიან...

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

აქ შეგროვილა სუყველა,

გულში რომ იფიცებიან

არ უღალატონ ერთმანეთს,

იყვნენ ერთურთის ძმებია.

ყორუღში ხარი დაუკლაცთ

წინწანაქრითა თვრებიან,

თავიანთ მამა-პაპათა

ვაჟკაცობაზე ჰყვებიან,

დრო აღარ ითმენს აქ ყოფნას,

მზადებას შეუდგებიან.

***

წინ წამოდგება ელვარე

ვერცხლის ჯვრიანი დროშებით,

მებრძოლებს გზას ულოცავენ

განთქმული დეკანოზები:

ღმერთო, შენა ხარ სადიდებელი,

ღმერთო, შენა ხარ სახსენებელი,

შენგან არის ცა ამაღლებული,

და დედამიწა დამყარებული.

შენ გაამარჯვე შენი ყმანი

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

სისხლის მსმელ მტრებზე,

მარცხი აშორე, მაღალო ღმერთო,

მათ ბრძოლის ველზე,

გფარავდეთ დიდი ლომისა,

წმინდა და თეთრი გიორგი,

წიფორის წმინდა გიორგი.

გფარავდეთ სამასსამოცდასამი

წმინდა გიორგი,

და უყმო ყმის მშველელი

პირიმზე ფუძის ანგელოზი,

ჩოხის წმინდა გიორგი,

გფარავდეთ ლაშარის ჯვარი,

გწყალობდეთ გუდანის ჯვარი,

გმირი კოპალე მძლეთა მძლე,

ხმელ გორზე დაბრძანებული,

გფარავდეთ ადგილის დედა

და დედა ხვთისა მშობელი,

გფარავდეთ ამ დროშის მადლი,

სიკეთე დაუშრობელი,

გფარავდეთ მთისა და ბარის

სალოცავები ყოველი...

ღმერთო დიდება შენთვინა,

ღმერთო წყალობა ჩვენთვინა,

შენ მოგვეც ძალა, რომ მტრები

მთლიანად გაგვაწყვეტინა!

***

ააწკრიალეს ზარები,

შეაწრიალეს მთა ბარი,

დაემშვიდობნენ სუყველას,

ცხენებს აჰკიდეს საგზალი,

გამგზავრებისთვის შემზადნენ,

გეგმა დააწყვეს ამგვარი:

რომ მტერს დაეცნენ უეცრად,

ამოასხამონ ნადავლი,

წაართვან, თუ რამ წაიღეს,

თუნდ გასწყდნენ, ყველა მზად არი.

წაართვან განატაცები

ბავშვები, ქალი და რძალი,

მოსრისონ, მოსპონ ისე, რომ

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

შინ ვერ წაიღონ ამბავი.

გზად მიმავლები შეჩერდნენ,

დაითათბირეს ქავთარი,

„პირისპირ შებმა არ გვარგებს,

დიდია თათრის ლაშქარი,

არ ვიცი, როგორ მოვრჩებით,

სიზმრად მიწა მაქვს ნათხარი...

ან რაღა გვინდა სახლებში,

რისთვის დავბრუნდეთ ნეტარა,

რისთვისღა გვინდა სიცოცხლე,

თუ წაგვართმევენ ქვეყანას.

ჩვენი შვილები დახოცეს,

მათ მიწა გადაეყარა,

და ჩვენ კი ზეზე ვიარით,

სადა სწერია ნეტარა!

სისხლი ავიღოთ მტრებისა,

სისხლი ავიღოთ, ავიღოთ!

სისხლი ავიღოთ... ღელავდნენ

სად დგანან, ჯერ ის გავიგოთ!

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

ვიჩქაროთ, რაც შეიძლება,

მტრისთვის სიკვდილი წავიღოთ.

მძინარეთ უნდა დავეცნეთ,

თითოს ხომ უცებ ჩავჩეხავთ.

 სანამ გონს მოვლენ ურჯულოთ

მგონი საკმაოდ ავჩეხავთ!

გულდაგულ ჩაძინებულებს

პირველ ღამესვე დავეცნეთ,

მტრის გაღვიძებას და ყიჟინს

ბრძოლიდან არვინ გაექცეს.

ჩვენ ეხლა ყველა ძმები ვართ,

ძმებად დავრჩებით მარადის,

ბრძოლა გავმართოთ ისეთი,

ვით ბრძოლა იყო მარაბდის.

მტრის სისხლით უნდა შევღებოთ

ჩვენი მტკვარი და არაგვი...

დღეს რომ ყოჩაღად ვიაროთ,

გზა დამოკლდება ხვალამდის.

ერთ შესვენებად ჩავირბენთ

აქიდან ხორხის ჭალამდინ.

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

იქ ცხენებს მოვაბალახებთ

და ის ეყოფათ გლდანამდის.

ზოგს ყანა დარჩა სამკელი,

ძნა მოსაზიდი სახლამდის,

ზოგს შეშა ტყეში გაშლილი,

ვერ მოეზიდათ აქნამდის,

ზოგმა ცოლშვილსაც ვერ უთხრა

სანუგეშებლად „ნახვამდის“,

მიტოვებული ოჯახის

გულებს კი დარდი ზაფრავდის.

მდინარე არაგვს ჩამოჰყვა

არაგველების ლაშქარი,

ჟინვალთან ხალხი შემოხვდა

ნაჯაფი, მზისგან დამწვარი.

ბრძოლისთვის შემზადებული,

მომარჯვებული ფარხმალით,

ერთურთს მშვიდობა უსურვეს,

დაჰგმეს ურჯულოთ ნაქნარი.

ეს ხორხელები არიან,

ხუცურაულის თაობით,

ეხლახან შეგროვებულან,

ჯერ არ დაღლილან გზაობით.

ფშავლებიც შემოჯარულან,

ყმები ლაშარის ჯარისა,

სიტყვას ვერავინ მოუჭრის,

მკლავიც უჭრის და ხმალიცა.

ერთმანეთს ძმობა შეჰფიცეს,

გეგმა დააწყვეს ხვალისა...

***

_ თქვენ ვინღა შეგატყობინათ,

აქ როგორ დაგვხვდით ნეტავი?

_ ჟინვალში ცეცხლი აინთო,

ცეცხლი ავარდა ზეცამდი,

შემოსასვლელში გავმაგრდით,

მისავალ გზებსა ვკეტავდით.

თან თქვნ ჩამოსვლას ველოდით,

ციხებში ცეცხლსა ვხედავდით.

_ მაშ გაუმარჯოს თქვენს მოსვლას,

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

ჩვენს აქ დახვედრას ვაჟებო,

ჩვენს ძმობასა და საქმესა, ხალხო,

გმირობით ნაქებო.

ჩვენც თქვენთან ერთად

წამოვალთ,

მტრის თავზე ხმლები ვაგელოთ,

გაიგონ, ბრძოლა ჩვენც ვიცით!

სიკვდილი მათაც ვაგემოთ.

***

შვიდი სათემო შეგროვდა

დიდი არაგვის ხევისა,

ყოველ თემს ჰყავდა მოთავე,

დროშა მოჰქონდა რხევითა,

გულს რისხვად ჩაუსახიათ

სურვილი მტერთა ძლევისა,

შაჰს ჯარი ამოუწყვიტონ,

გაგზავნონ წელის თრევითა.

გზას გაუყვება ლაშქარი,

დგას შუქჩრდილები მთვარისა,

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

არაგვის ჭალებს მიჰყვება

ლაშქარი ცხენოსანისა,

არაგვიც მიიკლაკნება,

მოწმე ამ შავი რამისა.

გეგმებს აწყობენ ბიჭები,

იმედი მოსდევთ მკლავისა.

ზოგს შაჰის მოკვლა სწადიან,

გატეხა მისი ფარისა,

ზოგს მტრების განადგურება,

გაწყვეტა მათი ჯარისა...

ჯერ თქვენის ჭკუით ნუ მსჯელობთ,

განსჯა ადვილი არ არის,

ჯერ მეფეს უნდა შევკითხოთ,

ვნახოთ იმისი კარავი,

ჯერ მეფეს უნდა ვეახლოთ...

ვეახლოთ! გრგვინავს მრავალი.

მეფეს ვეახლოთ, ვეახლოთ,

რაც თქვას, ის იყოს მთავარი,

ჩვენის გლეხურად ნათქვამი

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

კარგად არ მოგვიხდებაო,

შინიდან დაბარებული

გარეთ არ გამოდგებაო.

ნუ იტყვით ისეთ სათქმელსა,

რაც ღმერთს არ ეკადრებაო,

მეფე ხომ ღმერთის ნახევარს

უდრისო,

ასე ამბობენ,

ჯერ მეფეს ვკითხოთ, თორემა

ასეთ ლაშქრობას დაჰგმობენ.

ეშურებიან, მიდიან, მეფის

შეხვედრას ნატრობენ.

ამ დროს გამოჩნდა ვახტანგი

ბატონიშვილი ქებული,

 გამარჯვებათო, შესძახა,

გაჩერდა გაღიმებული.

ხელს ჩამოართმევს სუყველას,

გული უძგერის მეფური,

წინ წარუძღვება მოლაშქრეთ

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

ეწყობა ბრძოლის ფერხული.

ცხენებს დეზი ჰკრეს, გაჰქუსლეს,

გზა შეიმოკლეს ტყიანი.

სიონის ტაძარს ეწვივნენ,

დღე იყო ღრუბლებიანი.

მეფეს აახლა ვახტანგმა

მთის ხალხი შავჩოხიანი.

გამარჯვებისთვის ილოცეს,

ხმლები მოსინჯეს ფხიანი.

კრწანისისაკენ გაჰქუსლეს

თქარათქურით და გრიალით.

აი, სოფლებიც გამოჩნდა

პირქუში, დადუმებული.

უკაცრიელოს მოჰგავდა

მტრისაგან ცეცხლმოდებული.

ნისლი და კვამლი ერთმანეთს

ზეცაში შეჭიდებული,

სიცხის ბურუსი და მტვერი

ქარისგან ამოგდებული

ფარავდა, სოფლებს მალავდა,

როგორც ღრუბლები მყინვარსა,

ლამობენ არაგველები

უშველონ განაწირალსა

ამით იხსნიან სამშობლოს,

გულს მტრისგან ანატირალსა,

თბილისს უძღვნიან სიცოცხლეს,

უწმინდეს შესაწირალსა.

მოახსენებენ: მეფეო!

მთა-მთიულეთი მთლიანად

შენს მზეს ფიცულობს,

_ღვთის მადლმა

ვიბრძოლებთ

ომახიანად,

შვიდი სათემო მოვედით

თხუტმედ ოციოდ კაცითა,

დანარჩენს ვისაც შეეძლო,

მოხევე ხალხთან წავიდა.

მეზობლები ვართ, მაშ რა ვქნათ,

ერთურთის შველა თავიდან

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

შეუფიციათ ჩვენს მამებს,

ერთურთი იხსნან ავისგან.

იქითიც ცუდი ხმა მოდის,

 ძალადობს უცხო ტომები,

ხალხსა ძარცვავენ ქურდულად,

ხარობენ მუქთი ქონებით,

ღამით წაუსხამ ცხვარ-ძროხა,

საქმეა დასაღონები,

ენისგან ძნელად სათქმელი

და ძნელად გასაგონები...

მეფე ჩაფიქრდა ერთ წამსა;

მოამბეს მზერა ესროლა:

„ნეტავი ეგ აღარ გეთქვა

 და ისევ ტყვია გესროლა“.

მაშ ასე, საქმეს შეუდგეთ,

ჯერაც არ არის გვიანი.

მე მიყვარს მთა-მთიულეთი,

ფშავ-ხევსურეთი კლდიანი,

სუყველას ვეამბორები,

სადაც კი ქართველი არი.

წინასწარ გეტყვით მადლობას,

დუმილი რა წესი არი...

ეხლა უმწეოთ უშველოთ...

_მღვდელი თორელი აქ არის?

აქა ვარ დიდი მეფეო,

მეც და ჩემი ძმაც აქ არი!

თორელს მოუხმობს,

მხარზე ხელს

ძმასავით მოუთათუნებს,

_შენი აქ ყოფნა ბევრს მარგებს,

მტერსაც ბევრს დააფაცურებს.

მე, მჯერა, სადაც შენა ხარ,

იქ ვერვინ გააფხაკუნებს,

მაგრამ გამიგებ, შენ ეხლა

საქმეს არ გეტყვი საწუნებს,

ეშმაკს ნუ მიეკედლები

თუ ღმერთი აგითვალწუნებს.

უკანვე უნდა წახვიდე,

უშველო გაჭირვებულსა,

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

მე ცოლ-შვილს ვეღარ ვიხილებ
ჩემ ჭერქვეშ ატირებულსა,
და ვერც შევინდობ უნდოთა
უგვანოდ ახირებულთა,
შთამომავლობას ნუ ვნახავ
გატანჯულსა და ვნებულსა,
შვილსაც ვერ მოვეფერები
მტრისაგან ატირებულსა.
ცოლ-შვილს გადმირჩაენ
ცოცხალსა,
ამით გადმირჩენ მე გულსა.
ბოლოს გადგიხდი სიკეთეს
კაცს ხვთისგან მირონდებულსა...
„ვიცი სახლი გაქვს ჩირიკში,
ქვითკირით არის ნაშენი,
სიგძე-სიგანით, სიმაღლით
ათეულობით საჟენი,
მთას ვერ მისწვდება მტრის ხელი,
დაუბნელდება ნათელი,
იქ ყველა ციხე მტკიცეა,

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

დიდი ლოდებით ნაშენი,

მტერი ადვილად ვერ მოვა,

ციხე ციხეებს გასცქერის,

ხალხი დინჯი და გულადი,

სწრაფი, ვით მთების ჩანჩქერი,

ჩემ ცოლ-შვილს განდობ, გაჰყევი,

ბინა მიეცი მზიანი.

მამულებს მოგცემ კახეთში,

მიწაა ბარაქიანი,

მეც გადაგიხდი სიკეთეს

და, ღმერთიც სამართლიანი.

თორელი წუთით ჩაფიქრდა,

ძირს ჩააშტერდა მიწასა,

_ხალხს ფიცი მივეც, მეფეო,

ფიცს ვერ გავტეხავ ხვთისასა,

აქ უნდა ვიყო ბრძოლაში,

მოძმეთ ვაძლევდე ნიშანსა.

მე შემომყურებს სოფელი

ქალაქშიაც და იქაცა!

ჩემი ფარ-ხმალით დავიცავ

მთისა და ბარის მიწასა.

ჩემი ძმა გაჰყვეს,

ომისთვის ის უფრო მოქანცულია,

ოთხი თხუთმეტი მოლეწა

და ისევ ომი სწყურია.

წავიდეს, გაჰყვეს დედოფალს,

იჩქაროს, თუ საშურია.

ღამის გათევა მოუწევს,

სადაც რომ ანანურია,

შემდეგ კი მივლენ სოფელში,

სოფელი ღონიერია,

მტრისაგან შეუვალია,

იქ ხალხიც გონიერია.

ჩვენ სახლში დაისვენებენ,

სახლები ზომიერია,

ოლოცავს მთელი სოფელი,

სადარდი არაფერია.

მეფე სიამით აივსო,

თვალზე მოაწვა ცრემლები,

მთაში გაგზავნა ცოლ-შვილი,

თან გააყოლა მცველები.

გულში იმედი ჩაენთო,

მოსწონდა არაგველები,

მათი ჩასხმული მხარბეჭი

და დაკოჟრილი ხელები...

***

მტკვარს ქარი დაზუზუნებდა,

ღრუბლებს წელავდა ნიავი,

ისმოდა ქარის ღმუილი

და ბუჩქნარების შრიალი,

შევიდნენ დედა ქალაქში,

გზა მიილია მტვრიანი,

ლაშქარმა დასცხო სიმღერა

მძლავრი და ომახიანი:

ლომისს ხომ ჯაჭვი ჰკიდია

ნეტავ ის ჯაჭვი ვისია...

შემოსტირა და ქალმა სთქვა

ეგ ჯაჭვი ჩემი ძმისია,

ხორასნით წამოღებული

შავგვრემანაი ყმისია.

შვიდი ათასი ტყვის მხსნელის

დევგმირი ლომისისია...

სიმღერა მძლავრად გაისმა,

დაფარა მთელი მთაბარი,

სიმღერა მომღერლებსაც კი

არა სმენოდათ ამგვარი,

სუყველა ერთხმად გრგვინავდა

ხმამწყობრად მთელი ლაშქარი,

შვენოდათ ბრძოლის ჟინი და,

იმედად ჰქონდათ ფარხმალი.

ბრძოლა იცოდნენ პირისპირ,

არად მიაჩნდათ თვათვალი,

პირდაპირ ეკვეთებოდნენ,

როგორც ცხვრის ფარას აფთარი.

დავით მაჩაბელს, მომღერალს

განთქმულს თავისი მღერითა

აღაფრთოვანებს ლაშქრული,

აღავსებს აღმაფრენითა.

არც ბრძოლის ჟინი აკლია,

მცოდნეა ხმალთა ქნევისა,

იცის ამბავი აშკარად მძლეთა

მებრძოლთა ძლევისა.

***

კალიასავით ფუთფუთებს

ყიზილბასების ლაშქარი,

შაჰსაჭურისი მოუძღვის

სისხლისსმით გაუმაზღარი,

თვისტომ თურქმანებს ენდობა

ბოროტებისგან დამჭკნარი,

უბრძანებს; ყიზილბაშები

თუ ვინმემ ნახეთ დამფრთხალი

და უკან გამოქცეული,

სწრაფად აჰყარეთ ფარ-ხმალი!

აწამეთ, არ შეიბრალოთ,

იქავ ცხვარივით დაჰკალით!

***

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

გიორგი გურამიშვილის

მეზარბაზნენი თაბორის

მთაზე ასულან და ასე

ხელთ დაუპყრიათ მთა-გორი,

იქიდან დასცხეს ჭურვები,

მტრები ერთურთში არიეს,

შემდეგ ხმალდახმალ ეკვეთნენ,

არავინ დაიხვალიეს.

მოჰკალ, თორემ შენ მოგკლავს,

არ შედრკე, არ დაიხიო,

არ შეიბრალო, მტერია,

შენს მოსაკლავად მოსული,

თუ შენ არ მოჰკლავ, ის მოგკლავს,

შენს სახლში სამტროდ მოსული.

და დაჰკრეს არაგველებმა

თბილისელების მხარდამხარ,

მტერი სიმრავლით სჭარბობდა,

კიდეც სძალავდა ხანდახან,

თავგანწირვით რომ ეკვეთნენ,

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

მტერი დააფრთხეს ვერაგი,

გათიბეს ყიზილბაშები,

გაიქცა მათი ბელადი,

აჯობეს მრავალრიცხოვან

ყიზილბაშების ბრბოებსა,

მწარედ ანანეს აქ მოსვლა.

ბევრისაც „ვალახ“ ისმოდა,

წყევლა-კრულვა და გინება,

შაჰს გაუცრუვდა იმედი,

 და გულის მოწადინება,

 ველარ უშველა ალახმა

თვითონ იგივე შერისხა,

აღარ საიდან ისმოდა

დახმარება და შველის ხმა.

თავი გაუხდა საშველი,

გარბოდა, როგორც ნადირი.

ცხენდაცხენ მტკვარში შევარდა

და მიატოვა ნაპირი.

ბრძოლას კი ცეცხლი ეკიდა,

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

მკვდარი ცვიოდა მკვდარზედა,

სისხლმა შეღება მინდორი,

მდინარეც სისხლმა შეღება,

ყიზილბაშების ჯარებმა

ბრძოლის ველს თავი ანება,

გაიქცა, როგორც ცხვრის ფარა,

ან მოსვლა როგორ გაბედა!

დაჰკარით აე გაუშვათო,

ხმალდახმალ მიჰყვა ბიჭები.

ეგეცშენ, ძაღლი ნაშობო,

ეგეც შენ, რისთვის ირჯები!

სამტროდ რად მოხველ, სად

კვდები,

სისხლისგან რისთვის იცლები?

თუ სახლში საქმე გაგიწყდათ,

გეშენებინათ ხიდები.

***

ჩალეწეს არაგველებმა

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

ყიზილბაშების დროშები,

ხმლითა და კბილით დაფლითეს,

ძირს დაითრიეს ფოჩები,

მტერი დააფრთხეს ვერაგი,

სისხლით უღებეს ჩოხები.

ვეღარა შველდა შაჰის ჯარს

ჩახმახიანი თოფები.

ისმის მინდორში ვაება,

 გმინვა-გოდება, ტირილი,

ცხენების ფლოქვთა თქარუნი,

ჭიხვინ-ფრუტუნი, ყვირილი.

მინდორი დამძიმებულა

სისხლად დაცლილთა წოლითა,

ხმაც აღარ ისმი დაფდაფის,

ნაღარისა და დოლისა.

ფონი ჭალები დაბნელდა

შაჰის ახალი ძალებით,

 სოღალუღს დაეპატრონენ

ააწიოკეს ქალები,

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

ბევრს გადაუწვეს სახლ-კარი,

ბევრს ამოსთხარეს თვალები.

შაჰის ჯარს ემატებოდა

ახალთახალი ძალები.

ქანცი გაუწყდათ ვაჟკაცებს,

დაღლა დაეტყოთ ბრძოლითა.

აღარც ქუხილი ისმოდა

მეზარბაზნეთა შორითა.

შავნაბადა და თაბორი

შავმა ნისლებმა დაფარა,

ირგვლივდუმილი გამეფდა,

ღრუბლებმა ცრემლი დაღვარა.

ღამის სიბნელე ჩამოწვა,

მზე აღარ მოჩანს აღარა,

ბრძოლის ველს გასცილებია

გმირი ერეკლეს ჭაღარა.

კრწანისის ველი ავსილა

მკვდრებით,

ხმლით ჩაკაფილებით.

იმედი მძიმედ დაჭრილა,

ხალხი სისხლისგან დაცლილა,

სიცოცხლ განაწირები,

შფოთავს არაგვი და მტკვარი

ცოდვისგან ანატირები.

***

მტკვარო რათ გასწითლებულხარ,

წყნარი და თავაზიანო,

ცაო რათ დაბნელებულხარ,

ცაო ვარსკვლავიანო,

რათ გახდი ასე სანატრი

დღენო თბილო და მზიანო,

რამ აგატირა დედაო,

დედავ ჭაღარა თმიანო,

ასე სანატრი რად გახდი,

დღეებო მშვიდობიანო,

მთის წყალი სწყურა შენს შვილებს,

არაგვო არაგვიანო,

იჩქარე, ჩადი კრწანისში,

დიდხანს არ დაიგვიანო,

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

ჩაიტანოდე წყარონი,

გულზედ რომ გეყრებიანო,

შეგსვამენ, როგორც დედის რძეს,

უკვდავად იქცევიანო,

ეგება კიდეც წამოდგნენ,

კრწანისი აახმიანონ,

მიწისგან ჩაჟანგებული

ხანჯლები ააპრიალონ.

***

მთებო, შენს მოთქმა-გოდებას

ჭექა-ქუხილი ჰქვიანო,

შეგვასვი შენი წყარონი,

ცრემლად რომ ჩამოგდიანო,

მზეო, ამოდი, ამოდი,

დაჭრილებს შესცივნიაო.

300 არაგველი

ხალხური თქმულებების საფუძველზე მასალა შეაგროვა ვანო კობაიძემ

***

თქვენ დაიტირეთ ღრუბლებო,

მზევ, ზეწრად გადაეფარე,

მიწავ, შენ ექმენ ლოგინად,

საბნადაც გადაეფარე,

თქვენ მოუშუშეთ წყლულები,

სამშობლოსთვის რომ ეწამნენ,

გვერდი გვერდ ჩასძინებია

მეფანდურეს და მეთარეს....

(*ფაილად მოამზადა ქეთი ბურდულმა*)